



ტექნიკური დავალება

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და დატვირთვის დროს ბუნებრივი დანაკარგების ნორმატივების შემუშავების თაობაზე

ტექნიკური დავალება

ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგების ნორმატივების შემუშავების თაობაზე

შინაარსი:

1. საერთო ნაწილი.....	2
2. სამუშაოს მიზნები და ამოცანები.....	3
3. სამუშაოს მოსალოდნელი შედეგები.....	3



4. საწყისი მონაცემები სამუშაოების შესასრულებლად	5
4. სამუშაოების შესრულების ვადები	6
5. შესრულებული სამუშაოების შედეგების მიღების წესი	6

1. საერთო ნაწილი.

- 1.1. როგორც ცნობილია, ნავთობისა და თხევადი და აირისებრი ნავთობპროდუქტების გადატვირთვის და შენახვის დროს წარმოიშობა მათი ბუნებრივი დანაკარგი სხვადასხვა მიზეზით, მათგან ძირითადია აორთქლება და მილსადენების, ცისტერნების და რეზერვუარების კედლებზე მიწებება.
- 1.2. ბუნებრივ დანაკარგს არ მიეკუთვნება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დანაკარგები, რომლებიც გამოწვეული არიან სტანდარტების, ტექნიკური პირობების, ტექნიკური ექსპლუატაციის, შენახვის წესების დარღვევით, ნავთობპროდუქტების დაკარგვით, რეზერვუარების, მილსადენების სარემონტო და გაწმენდითი სამუშაოების შესრულების შედეგად, ყველა სახის ავარიული დანაკარგები და ასევე, დანაკარგები შიდა ტექნოლოგიური გადატუმბვების დროს.
- 1.3. ბუნებრივი დანაკარგის ნორმად ითვლება ნავთობპროდუქტების შეუქცევადი დანაკარგების დასაშვები მოცულობა, რომელიც წარმოიშობა უშუალოდ სასაქონლო-სატრანსპორტო ოპერაციების დროს მათი თანმხლები ფიზიკური პროცესების შედეგად, ასევე დანაკარგები, რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია გამოსაყენებელი ტექნიკური მოწყობილობების დღევანდელი მდგომარეობის გამო (დანაკარგები ნებისმიერი სახის ტევადობებიდან აორთქლების შედეგად, ტუმბოებისა და საკვალთების საჩობლო შემკვრივებიდან, დანაკარგები მიწებების შედეგად და ა.შ.).
- 1.4. შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ სარეზერვუარო პარკებს გააჩნიათ „საბაჟო საწყობის“ სტატუსი და შესაბამისად, ნედლი ნავთობის და ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვის და დატვირთვის დროს დაცული უნდა იყოს ყველა საკანონმდებლო და ნორმატიული მოთხოვნა, რომლებიც არეგულირებენ საბაჟო საწყობის ფუნქციონირებისა და საქმიანობის წესებსა და პირობებს.
- 1.5. „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ №231 მუხლის პუნქტი 9 -ის თანახმად, „საბაჟო საწყობში შენახული საქონელი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია: ა) ბუნებრივი ცვლით; ბ) შენახვის ნორმალური პირობებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით;“
- 1.6. დღეისათვის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საშემოსავლო სამსახურის უფროსის 29.11.2016 წლის №21841 ბრძანებით, დამტკიცებულია ბუნებრივი დანაკარგის ნორმის საზღვრები ნათელი ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვის და სატრანსპორტო სასუალებებზე დატვირთვის დროს (ბენზინი, ნაფთა, დიზელის საწვავი, ნავთი), რომელთა გამოყენება ნებადართულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
- 1.7. მაგრამ საქართველოში არ არის დამტკიცებული საყოველთაოდ გამოსაყენებელი ბუნებრივი დანაკარგის მაქსიმალურად ზღვრული ნორმები ნედლი ნავთობის, მუქი ნავთობპროდუქტების და გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირებისათვის.
- 1.8. საშემოსავლო სამსახურის 16.07.2017 წლის №21-01/ 85981 საპასუხო წერილის თანახმად, ნედლი ნავთობის, მუქი ნავთობპროდუქტების (მაზუთი, ვაკუუმ-გაზოილი), მძიმე დისტილატების და გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირების ბუნებრივი დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული



ნორმების დამტკიცების მიზნით ბათუმის ნავთობტერმინალმა საშემოსავლო სამსახურთან შექმნილ საწარმოო და ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული რაოდენობების შემუშავების კომისიაში უნდა წარადგინოს შესაბამისი წინადადებები, ოფიციალური აქტების დართვით, რომლებიც დაასაბუთებენ ამ წინადადებებს.

2. სამუშაოს მიზნები და ამოცანები

- 2.1. დავალებული სამუშაოს მიზანს წარმოადგენს ნავთობისა და მუქი ნავთობპროდუქტების (მაზუთი, ვაკუუმ-გაზოილი, მძიმე დისტილატები) და გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირების ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული სიდიდეების დადგენა, რომლებიც ასახვენ შეუქცევადი დანაკარგების დასაშვებ დონეს, რომელთა მიღწევა შესაძლებელია შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სარკინიგზო ცისტერნებიდან ან საზღვაო ტანკერებიდან მიღების და საზღვაო ტანკერებზე ან სარკინიგზო ცისტერნებში დატვირთვის არსებული ტექნოლოგიის დროს.
- 2.2. ნედლი ნავთობის, მუქი ნავთობპროდუქტების და გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირების ბუნებრივი დანაკარგი უტოლდება სასაქონლო ხარჯებს გადასახადის დაკისრების მიზნებისათვის.
- 2.3. ბუნებრივი დანაკარგის ნორმების შემუშავება უნდა მოხდეს საანგარიშო-ექსპერიმენტალური მეთოდის საფუძველზე ნავთობპროდუქტების ყოველი ჯგუფისათვის, ექსპლუატაციის კლიმატური რეგიონისათვის, წლის შემოდგომა-ზამთრის ან გაზაფხული-ზაფხულის პერიოდისათვის, დანადგარის ტიპისათვის (მიწისზედა ან მიწისქვეშა), შესაბამისი ტევადობის მოცულობისათვის.
ბუნებრივი დანაკარგის ნორმები უნდა განისაზღვროს დაანგარიშების საშუალებით და ცალკეული პარამეტრების გაზომვის შედეგების მიხედვით, რომლებიც მიიღება საცდელი შენახვის ან ტრანსპორტირების შედეგების საფუძველზე საცდელი ტევადობების ჯგუფიდან „მცირე“ სუნთქვის გამონაფრქვევებში ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგების განსაზღვრის საშუალო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით.
- 2.4. ბუნებრივი დანაკარგის ნორმები უნდა შეიცავდეს სამ ძირითად ნაწილს:
 - ბუნებრივი დანაკარგების ნორმები ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შენახვის დროს;
 - ბუნებრივი დანაკარგების ნორმები ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სატრანსპორტო საშუალებებიდან მიღებისას;
 - ბუნებრივი დანაკარგების ნორმები ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სატრანსპორტო საშუალებებზე დატვირთვისას.

3. სამუშაოს მოსალოდნელი შედეგები

- 3.1. შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვის და დატვირთვის დროს ბუნებრივი დანაკარგების ნორმატივების შემუშავების სამუშაოების შედეგად უნდა გაცივს შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები საშემოსავლო სამსახურთან შექმნილ საწარმოო და ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული რაოდენობების შემუშავების კომისიაში წარსადგენად:
 - 3.1.1. ნედლი ნავთობის, მუქი ნავთობპროდუქტების და გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირის ბუნებრივი დანაკარგის ზღვრული ნორმების განსაზღვრის მეთოდური მითითებები, (შემდგომში - მეთოდური მითითებები).



- 3.1.2. შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“ ნედლი ნავთობის, მუქი ნავთობპროდუქტების და გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირის ბუნებრივი დანაკარგის ზღვრული ნორმები შესაბამისი დამასაბუთებელი დოკუმენტაციით (გაზომვების აქტები, გათვლები, გამოკვლევის აქტები და ა.შ.).
- 3.1.3. შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“ ნედლი ნავთობის, მუქი ნავთობპროდუქტების და გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირის ბუნებრივი დანაკარგის ზღვრული ნორმების განსაზღვრის წესები დღეისათვის არსებული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სარკინიგზო ცისტერნებიდან ან საზღვაო ტანკერებიდან მიღების, რეზერვუარებში შენახვის, საზღვაო ტანკერებში ან სარკინიგზო ცისტერნებში დატვირთვის ტექნოლოგიის გამოყენებისას.

3.2. ნავთობისა და მუქი ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის ზღვრული ნორმები შემუშავდეს შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხული-ზაფხულის პერიოდებისათვის და დეტალიზებული იქნას ცალკე-ცალკე შემდეგი ტექნოლოგიური პროცესებისათვის:

1. ვაგონ -ცისტერნებიდან მიღება (ჩამოსხმა):

- ნედლი ნავთობის;
- მაზუთების;
- ვაკუუმ-გაზოილის;
- მძიმე დისტილატების;
- გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირის.

2. ტანკერებიდან მიღება (ჩამოსხმა):

- ნედლი ნავთობის;
- მაზუთების;
- ვაკუუმ-გაზოილის;
- მძიმე დისტილატების.

3. რეზერვუარში მიღება და შენახვა 1 დღე-ღამის განმავლობაში:

- ნედლი ნავთობის;
- მაზუთების;
- ვაკუუმ-გაზოილის;
- მძიმე დისტილატების;
- გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირის.

4. რეზერვუარში შენახვა 1 თვემდე ვადით:

- ნედლი ნავთობის;
- მაზუთების;
- ვაკუუმ-გაზოილის;
- მძიმე დისტილატების;
- გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირის.

5. რეზერვუარში შენახვისას 1 თვეზე მეტი ხნით:

- ნედლი ნავთობის;
- მაზუთების;



- ვაკუუმ-გაზოილის;
- მძიმე დისტილატების;
- გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირის.

6. ტანკერებზე დატვირთვა:

- ნედლი ნავთობის;
- მაზუტების;
- ვაკუუმ-გაზოილის;
- მძიმე დისტილატების;
- გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირის.

7. სარკინიგზო ცისტერნებში ჩასხმა:

- ნედლი ნავთობის;
- მაზუტების;
- ვაკუუმ-გაზოილის;
- მძიმე დისტილატების

4. საწყისი მონაცემები სამუშაოების შესასრულებლად

- 4.1. სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო საწყისი მონაცემების მოწოდება ხდება დამკვეთის მიერ დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტით, ასევე განისაზღვრება შემსრულებლის მიერ ბათუმის ნავთობტერმინალის ობიექტების გამოკვლევის პერიოდში.
- 4.2. საწყისი მონაცემების წარმოდგენა დამკვეთის მიერ ხდება უპირატესად ელექტრონული ფორმით (სადაც შესაძლებელია), ან წერილობითი ფორმით (სხვა შემთხვევებში) შემსრულებლის მიერ მოთხოვნის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის მანძილზე.
- 4.3. საწყისი მონაცემების საერთო ჩამონათვალი სამუშაოთა ყველა ბლოკის მიხედვით, რომელიც შემსრულებელს მიეწოდება:
- საწარმოს შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ აღრიცხვის ოპერაციებს და გაზომვების მეთოდიკას;
 - მატერიალური ნაკადების სქემები, კავშირების მითითებით ყოველი პროდუქტისათვის დანადგარებს, სარეზერვუარო პარკებს და მილებისა და დატვირთვის უბნებს შორის;
 - ინფორმაცია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვის მოცულობების შესახებ, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ტექნიკური დახასიათება (მიღების, შენახვის, დატვირთვის) (მათ შორის, რეზერვუარების რაოდენობა, მათი ტიპი და ტევადობა);
 - დანადგარების ტექნოლოგიური რეგლამენტები;
- 4.4. სამუშაოების შესრულების პროცესში, შემსრულებელს მიეცემა ბათუმის ნავთობტერმინალის ობიექტების და ნორმატიული დოკუმენტების შესწავლისა და გამოკვლევის სრული შესაძლებლობა.
- 4.5. შემსრულებელმა საკუთარი პასუხისმგებლობით უნდა უზრუნველყოს სინჯების აღება და ლაბორატორიული და ინსტრუმენტალური გამოკვლევების შესრულება, რომლებიც აუცილებელია



ბუნებრივი დანაკარგის ნორმების დასადგენად ბათუმის ნავთობტერმინალში ნედლი ნავთობის, მუქი ნავთობპროდუქტების და გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირის მიღების, შენახვის და დატვირთვის ოპერაციების დროს.

4. სამუშაოების შესრულების ვადები

- 4.1. სამუშაოების შესრულების ვადები დგინდება კალენდარული გეგმის თანახმად, რომელსაც შეიმუშავებს შემსრულებელი და ამტკიცებს დამკვეთი სამუშაოების შესრულების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, წინამდებარე ტექნიკური დავალების თანახმად.
- 4.2. სამუშაოების დასრულების საერთო ვადა - 1 კალენდარული წელი, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.

5. შესრულებული სამუშაოების შედეგების მიღების წესი

5.1. სამუშაოების შესრულების დასრულების შემდეგ შემსრულებელი დამკვეთს გადასცემს:

- 1) ნორმატიულ დოკუმენტს - შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ ნედლი ნავთობის, მუქი ნავთობპროდუქტების და გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირის ბუნებრივი დანაკარგის ზღვრული ნორმების განსაზღვრის მეთოდური მითითებები - ქართულ და რუსულ ენებზე, წერილობითი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული (1 ეგზემპლარად) ფორმით.
- 2) ნორმატიულ დოკუმენტს - შპს „ბათუმის ნავთობტერმინალში“ ნედლი ნავთობის, მუქი ნავთობპროდუქტების და გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირის ბუნებრივი დანაკარგის ზღვრული ნორმების განსაზღვრის მეთოდური მითითებები - ქართულ და რუსულ ენებზე, წერილობითი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული (1 ეგზემპლარად) ფორმით.
- 3) ნორმატიულ დოკუმენტს - შპს „ბათუმის ნავთობტერმინალში“ ნედლი ნავთობის, მუქი ნავთობპროდუქტების და გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირის ბუნებრივი დანაკარგის ზღვრული ნორმების განსაზღვრის წესები დღეისათვის არსებული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სარკინიგზო ცისტერნებიდან ან საზღვაო ტანკერებიდან მიღების, რეზერვუარებში შენახვის, საზღვაო ტანკერებში ან სარკინიგზო ცისტერნებში დატვირთვის ტექნოლოგიის გამოყენებისას - ქართულ და რუსულ ენებზე, წერილობითი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული (1 ეგზემპლარად) ფორმით.

5.2. შემუშავებული ნორმატიული დოკუმენტების გადაცემა გაფორმდება სამუშაოების ჩაბარება-მიღების შუალედური აქტით, რომელსაც ხელს მოაწერს შემსრულებელი და დამკვეთი.

5.4. დამკვეთი განიხილავს მოწოდებულ მასალებს და 5 სამუშაო დღის მანძილზე მათ გადააგზავნის საქართველოს საშემოსავლო სამსახურში, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების (მაზუთი, ვაკუუმ-გაზოილი,



მძიმე დისტილატები) და გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირის ბუნებრივი დანაკარგის ნორმების დამტკიცების მიზნით.

- 5.5. საქართველოს საშემოსავლო სამსახურის მიერ მათთან წარდგენილი ნედლი ნავთობის, მუქი ნავთობპროდუქტების (მაზუთი, ვაკუუმ - გაზოილი, მძიმე დისტილატები) და გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირის ბუნებრივი დანაკარგის ნორმების და შესაბამისი დამასაბუთებელი დოკუმენტაციის დამტკიცების შემთხვევაში, დამკვეთი შემსრულებელს უგზავნის შესრულებული სამუშაოების საბოლოო ხელმოწერილ მიღება-ჩაბარების აქტს.
- 5.6. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საშემოსავლო სამსახურმა არ დაამტკიცა ბუნებრივი დანაკარგის ნორმები, დამკვეთი შემსრულებელს უგზავნის მოტივირებულ უარს შესრულებული სამუშაოების მიღებაზე და შენიშვნების ჩამონათვალს.
- 5.7. შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით და არაუმეტეს 60 დღის ვადაში, აღმოფხვრას გამოვლენილი ხარვეზები და გასწორებული მასალები განმეორებით გაუგზავნოს დამკვეთს.
- 5.8. შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოები ჩაითვლება დასრულებულად, მხოლოდ საქართველოს საშემოსავლო სამსახურის მიერ ნავთობის, მუქი ნავთობპროდუქტების (მაზუთი, ვაკუუმ-გაზოილი, მუქი დისტილატები) და თანხლები დამასაბუთებელი დოკუმენტაციის დამტკიცების შემდეგ.
- 5.9. საგარანტიო ვადა - 24 თვე შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების შუალედური აქტის ხელმოწერის მომენტიდან.
- 5.10. მითითებული ვადის განმავლობაში შემსრულებელი ვალდებულია განახორციელოს საავტორო თანხლება (სამუშაოების ცალკეული შედეგების კორექტირება საშემოსავლო სამსახურთან შექმნილ საწარმოო და ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული რაოდენობების შემუშავების კომისიის მიერ განხილვის შედეგების მიხედვით, სამუშაოების შედეგების გამოყენების თაობაზე კონსულტაციები გაცემა).